

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 56

26 04 2024 წ.

ქ. თბილისი


„ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებაში ცვლილების შესახებ

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის (შემდგომში - კოლეჯი) წესდების მე-5 მუხლის 5.1.9. ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. განხორციელდეს ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებულ „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის წესში“ და „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის წესი“ ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის სახით.
2. ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობის უზრუნველყოფა დაევალოს კოლეჯის საქმისმწარმოებელს.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში. (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.)

კოლეჯის დირექტორი



მანანა მოისწრაფიშვილი

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის (შემდგომში – კოლეჯი) ხარისხის უზრუნველყოფის წესის მიზანია კოლეჯსა და კოლეჯის რეგიონალურ ჰიბრიდულ სასწავლო ცენტრებში სწავლებისა და შეფასების თანამედროვე და ეფექტური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება და გაუმჯობესება; სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
2. ხარისხის უზრუნველყოფის მიზანია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო მუშაობის, აგრეთვე პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატური შეფასება.

მუხლი 2. ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი

- 2.1. სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფისათვის გამოიყენება შიდა და გარე მექანიზმები, რომელთა მიზანია სწავლების ხარისხის მუდმივი მონიტორინგი, განვითარება და სრულყოფა. სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისგან:



P – Plan - დაგეგმე;

D – Do - განახორციელე;

C – Check - შეამოწმე;

A – Act - განავითარე.

P – Plan - დაგეგმე - სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით იგეგმება ჩასატარებელი ღონისძიებების სიხშირე. განისაზღვრება კონკრეტული მიზნები, რესურსები და ამ მიზნების მისაღწევი სტრატეგიული ქმედებები.

D – Do - განახორციელე - აღწერს იმ პროცესებსა და ქვეპროცესებს, რომლებიც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მიღწევისთვის განისაზღვრა. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში განხორციელების პროცესი ექვემდებარება რეგულარულ შემოწმებასა და ანგარიშგებას. სისტემატური შემოწმების შედეგებმა შეიძლება მოითხოვოს ცალკეული პროგრამების ან მათში შემავალი კომპონენტების კორექტირება. ამ პროცესზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან პროგრამები შესაბამისობაში მოიყვანონ დადგენილ სტანდარტებთან.

C – Check - შეამოწმე - ამოწმებს სასწავლო პროცესში ჩართული ყველა სტრუქტურული ერთეულის მიერ სწავლისა და სწავლების დონის ამაღლების მიზნით შესრულებულ სამუშაოს, სასწავლო პროცესში ჩართული ადამიანური რესურსის მუშაობის ხარისხს; დაწესებულების მიერ ამ კუთხით ჩატარებული კვლევის შედეგები ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ეცნობება დაწესებულების პერსონალს. შემოწმების მიზანია დაწესებულების ძლიერი და სუსტი

მხარეების წარმოჩენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

A – Act - განავითარე - სახავს კვლევის შედეგად გამოვლენილ ხარვეზთა აღმოფხვრის გზებს, ავითარებს ინოვაციურ მიდგომებს და რეკომენდაციების შემუშავების გზით ადგენს მდგომარეობის გაუმჯობესების მექანიზმებს.

2.2. მოცემული მიდგომის თანახმად ერთი ფაზის დასრულება ნიშნავს მეორე ფაზის დაწყებას და ა.შ.

მუხლი 3. ხარისხის მართვის მენეჯერის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. ხარისხის მართვის მენეჯერის ძირითადი ამოცანებია:

ა) კოლეჯსა და რეგიონალურ ჰიბრიდულ სასწავლო ცენტრებში სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასება და მისი გაუმჯობესებისთვის შესაბამისი წინადადებების შემუშავება, ჰიბრიდულ რეგიონალურ სასწავლო ცენტრებში ხარისხის მართვის მიზნით ინფორმაციის შეკრებაზე პასუხისმგებელია რეგიონალური ჰიბრიდული სასწავლო ცენტრების კოორდინატორი;

ბ) შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა;

გ) საერთაშორისო თანამშრომლობისა და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში კოლეჯის ინტეგრაციის ხელშეწყობა;

დ) კოლეჯის ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების დამატების პროცესების წარმართვა, სისტემატური თვითშეფასების განხორციელება;

ე) დადგენილი წესის შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების, პერსონალისა და სტუდენტთა შესახებ სხვადასხვა სახის სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება;

ვ) სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მობილობის ხელშეწყობა.

2. ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციებია:

ა) კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და სტრატეგიის, შესაბამისი მექანიზმებისა და პროცედურების შემუშავება;

ბ) სწავლებისა და სწავლის პროცესის შეფასების წესებისა და მეთოდების შემუშავება, ხარისხის კონტროლის კრიტერიუმების განსაზღვრა და მათი გამოყენების მეთოდოლოგიის შემუშავება;

გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ დამტკიცებულ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან;

დ) საგანმანათლებლო პროგრამების ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავება;

ე) საგანმანათლებლო პროგრამების სისტემატური ტექნიკური მონიტორინგის ორგანიზება შემუშავებული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების საფუძველზე;

ვ) საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული ექსპერტიზის ორგანიზება ქართველ და უცხოელ ექსპერტებთან თანამშრომლობით და შესაბამისი წინადადებების შემუშავება, შრომის ბაზრის მოთხოვნების, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით;

ზ) შიდა სტანდარტებისა და შეფასების შესაბამისი კრიტერიუმების შემუშავება;

თ) კოლეჯის თანამშრომლების პერიოდული შეფასების მექანიზმის შემუშავება, სათანადო დოკუმენტაციის მომზადება და შეფასების პროცესის მონიტორინგი;

- ი) კოლეჯის თანამშრომლების შეფასების შედეგების ანალიზი და შესაბამისი წინადადებების შემუშავება;
- კ) პროფესიული სტუდენტების სისტემატური გამოკითხვის ორგანიზება, შესაბამისი კითხვარებისა და აუცილებელი დოკუმენტების შემუშავება;
- ლ) სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შესაბამისი წინადადებების შემუშავება;
- მ) ავტორიზაციის პროცესისათვის სისტემატური თვითშეფასების პროცესების განხორციელება;
- ნ) სასწავლო გეგმების (მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მოდულების ჩარჩო დოკუმენტებთან, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა;
- ო) კოლეჯის საინფორმაციო და სასწავლო რესურსების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და დამხმარე რესურსების (მათ შორის ადაპტირებული რესურსების) შესაბამისობის დადგენა ავტორიზაციის სტანდარტებთან და ჩარჩო დოკუმენტების მოთხოვნებთან;
- პ) სასწავლო საქმიანობასთან და კურსდამთავრებულთა დასაქმებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი და დადგენილი წესით მიწოდება დაინტერესებული პირებისათვის;
- ჟ) სასწავლო სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა;
- რ) თანამშრომლობა საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ხარისხის უზრუნველყოფის მეთოდოლოგიისა და კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და ინდიკატორების ჩამოსაყალიბებლად;
- ს) თავისი კომპეტენციის ფარგლებში კოლეჯის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ანალიზი და არსებული წესით მისი საჯაროობის უზრუნველყოფა;
- ტ) კოლეჯის წესდებით, სამეთვალყურეო საბჭოს დადგენილებებით, დირექტორის ბრძანებებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 4. ანგარიშვალდებულება და უფლებამოსილება

1. ხარისხის მართვის მენეჯერი ანგარიშვალდებულია კოლეჯის დირექტორის წინაშე;
2. ხარისხის მართვის მენეჯერი უფლებამოსილია კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულებს მოსთხოვოს თავისი ფუნქციების განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაცია, ხოლო რეგიონალური სასწავლო ცენტრების შემთხვევაში - რეგიონალური სასწავლო ცენტრების კოორდინატორს;
3. ხარისხის მართვის მენეჯერის არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს კოლეჯის დირექტორი.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

1. დებულება ძალაში შედის კოლეჯის დირექტორის მიერ მისი დამტკიცების დღიდან.
2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის დასაბუთებული მოთხოვნით, რომელსაც ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.